№ 175 აგვისტო 15, ოთხშაბათი 1890 აგვისტო 15, ოთხშაბათი № 175

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
31 2-й гильд. куп. Беро гр. 348
Пурцхванидзе.

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 17 აგ ისტოს.

## Отъ конторыредакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ცეცხლის ზიანის
მზღვეველ საზოგადოების „ЯКОРЬ"-ის
აგენტი ქუთაისში
ილია მირიანის-ძე ჭყონია
იღებს საზღვევად ყველგან ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია. (3—1)

## ახალი ამბავი

*** დღეს მოგვივიდა პაწია წიგნი, პოემა სახელად „მაკარიოზი" ვილაც სევასტისა. წიგნი სულ 64 გვერდს შეიცავს, ღირს ფასად 30 კაპ. და ექ. ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი. პირველისავე გადათვალიერებით ლექსი მეპოემესი მეტად ცუდად ლექსობს და პროვინციალიზმებითაც სავსეა. აქა-იქ თვალი გადავავლეთ, მაგრამ პოეზიისა არა ეტყობა-რა.

*** გუშინ-წინ, 13 აგვისტოს, ქართულს თეატრში ერთი საღამო გამართა რუსეთის სცენების მკითხველმა ვეინბერგმა. საზოგადოება თეატრში საკმაოდ დაესწრო ზაფხულის კვალობაზედ, თუმცა ლოჟები სულ ერთიანად ცალიერი იყო. ვეინბერგმა ორ განყოფილებად თხუთმეტამდე სცენა წაიკითხა და დიდად ასიამოვნა საზოგადოება. დასასრულ საზოგადოების თხოვნით სთქვა სომხური სცენა „ღემონიც", რომლის გამოც უსიამოვნება დაემართა ერთ სომხის სტუდენტთან ბორჯომში. ამას წინად ეს ამბავი ჩვენს გაზეთში იყო მოთხრობილი და შეცდომით, ბორჯომის მაგიერ, კოჯორი გვქონდა მოხსენებული. საზოგადოებამ ამ სცენის წაკითხვის შემდეგაც დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ ნი ვეინბერგი.

*** ბორჯომი: ეს უკანასკნელი დღეებია, ქუჩები სხვა და სხვა ფერად-ფერად განცხადებით აჭრელდა. „მაგიის პროფესორები" გნებავთ, თუ მომღერალნი, თუ სცენების მკითხველნი, თუ ცირკის პატრონები—ყველანი ეპატიჟებიან ბორჯომის საზოგადოებას: მობრძანდით, გაგართოთო. 11 ამ თვისას გამოჩენილმა ციტრისტმა ფრანჩესკო ბაუერმა მიიზიდა ხალხი თავის კონცერტზე. ხვალ კიდევ მომღერალი ჩერნოვი ჰპირდება საზოგადოებას თავის კონცერტის გამართვას და მებრვე სხვა. როგორც ჰხედავთ, სეზონის ბოლოს აქაურობას დიდი ელ-ფერი ედება, თითქოს აქამდე რაც მოწყენილობა გამოიარა საზოგადოებამ, ახლა უნდა შეივსოს ის ნაკლიო.

*** სოფ. ბზვანი (იმერეთი): ეს ამოდენა სოფელი აქამდის უსკოლოდ იყო და მოზარდი თაობა უსწავლელად რჩებოდა. მით უფრო სამწუხარო იყო ეს გარემოება, რომ იმერეთში კაი ხანია, რაც დიდმა და პატარამ შეიგნო სწავლა-განათლების საჭიროება და არავითარს ღონესა და საშუალებას არა ჰზოგავენ, ოღონდ-კი სკოლა გაიმართონ თავიანთ სოფელში. დღეს სოფ. ბზვანსაც ეშველა. ადგილობრივმა მღვდელმა ბ-ნ სვიმონ ნადირაძემ და გ. ტყეშელაშვილმა და ქრისტოფორე ნაცვლიშვილმა ითავეს სკოლის გამართვის საქმე, შეაგროვეს უკვე 400 მანეთი ფული, შეიძინეს ოთხ-ოთახიანი სახლი, სასკოლო ალაგი და თუ რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ ხელი არ შეუშალათ, სკოლაც მალე გაიმართება. სკოლისთვის საჭირო ნივთები უკვე შეუკვეთნიათ. სკოლისთვის აღუთქვამს ბევრს განათლებულსა და შეგნებულს ადამიანს დახმარება როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ნივთიერადაც. სამწუხაროა მხოლოდ, რომ უსათუოდ ყოველ კეთილ განზრახვას ავი კაცი უნდა გამოუჩნდეს და ხელს უშლიდეს იმის აღსრულებას. მაინც-კი იმედია, რომ ეს სამი ადამიანი, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის სიყვარულით აღჭურვილი, არ დაიშურებს შრომასა და გარჯას და ყოველს დაბრკოლებას აიცილებს თავიდგან.

*** კახეთი: წელს კახეთში ბალახის მოსავალი მეტად მწირი და მცირე იყო და იმის ათის-თავი თივა არ მოსულა, რაც წარსულს წლებში მოვიდა, ამისათვის ბაზარში დაძვირდა თივა. მეტადრე თიანეთში, სადაც სააგარაკოდ დიდ-ძალი ჯარი იკრიბება. თიანეთში ფუთი თივა სამ აბაზიდგან ორ აბაზამდის იყიდება. ერთმა თელავის ვექილმა ამ შემთხვევას მარჯვედ ჩაავლო ხელი, თვეზე მეტია რაც ერთს მოხერხებულს გლეხს არბენინებს სოფელ-სოფელ და ჰყიდულობს საწყალის გლეხებისაგან სულ მუქთ ფასად თივას (ორ მანეთად და ორ და ათ შაურად) იმ პირობით, რომ თითონ მყიდველმავე დაუდოს ურემზედ. ესეც დროს ნიშანია: ვექილმა მეთივეობა დაიწყო!

*** სოფ. ახალ-ქალაქი: წარსულ თვეის 20 ჩვენ ში ღამით ვილაცა ბოროტ-მოქმედებმა გაჩხეს ივანე უმიკაშვილის ერთის დღის ვენახი თავიდამ ბოლომდის ოთხი შარი მსხმოიარე ვაზი, რიცხვით ოთხასამდე. ამავე ღამეს და ამავე კაცის სახლი-კაცს გლახა უმიკაშვილს გაუჩხეს რამდენიმე ვაზი. სოფელმა ძალიან კარგად იცის, ვინც არიან ეს ბოროტ-მოქმედები და ვინც ავაზაკობს საზოგადოდ, მაგრამ თავს არ იდებენ, რომ ამისთანა მავნებელი კაცები ან დასაჯონ და ან სულ გააძეონ თავიანთ სოფლისა და საზოგადოებიდგან.

*** გორი: წვრილმანმა ქურდ-ბაცაცებმა ნაცარ-ტუტა ადინეს გორის მაზრას. იპარავენ, რაც-კი მოხვდებათ: საქონელს, სახლის ავეჯეულებას, გუთნის იარაღსა და სხვ. ქურდობასთან ერთად სხვა ბოროტ-მოქმედება მაც იჩინა თავი. შურით ბევრი სულის მტერი მეზობელს უბუგავს წლის სარჩოს და იმითი სულსა ჰხდის. ადმინისტრაცია, ამოდენა საქმით გაძეძგებული, ვერასა ხდება და ავაზაკნი უმეტესად დაუსჯელნი რჩებიან, თუმცა-კი სამართალი მოითხოვს კაცმა სთქვას, ბოქაულები უფრო მეტს სიმხნევესა და ერთგულებას რომ გამოიჩენდნენ, შეეძლოთ ოდნავ არის მაინც ელაგმათ გათამამებული ქურდები. ადგილობრივ ადმინისტრაციას კარგად ესმის ეს სამწუხარო მდგომარეობა გორის მაზრისა და დღეს, როგორც შევიტყეთ სარწმუნო წყაროდგან, აპირებს მიჰმართოს თავით მკვიდრთ ქურდების ასალაგმად და მოსარჯულებლად. ამისათვის განზრახვა აქვთ ისე შემოიღონ, რომ ყოველ სოფლის საზოგადოებამ დაადგინოს განაჩენი და თუ დაიკარგა რამ, უზღოს დამკარგველს, თუ-კი ბოროტ-მოქმედს ვერ ამოაჩენს. გორის ადმინისტრაციის აზრით, ეს ღონე კარგად იმოქმედებს და ქურდობასა და ყოველ სხვა გვარ ბოროტ-მოქმედებას უსათუოდ მოსპობსო, თუმცა გამოცდილება-კი სულ სხვას გვაჩვენებს. დიდი ხანია ამ გვარი განაჩენები ჰმოქმედებს ჩრდილოეთ კავკასიაში და მაჰმადიანთაგან დასახლებულს გუბერნიებში, მაგრამ, სარგებლობის მაგიერ, სული ამოჰხუთა არაფერში დამნაშავეს. ბოროტ-მოქმედნი-კი არხეინად დასეირნობენ. ამისათვის საჭიროა, რომ გორის ადმინისტრაცია დიდის სიფრთხილით მოეკიდოს ამ გვარ განაჩენებს. დასასრულ საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ ყველა განაჩენი არ არის შეწყნარებული კავკასიის მთავრობისაგან (შიდა რუსეთში ამ გვარის განაჩენის სახსენებელსაც ვერ იპოვნით). ნამთავარ-მართებელარი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამტკიცებდა მხოლოდ იმ განაჩენებს, რომლითაც სოფლები პირობასა სდებდნენ, რომ მარტო დაკარგულს საქონელს ვზღავთო.

*** სოფ. კაკი: ეს ორი-სამი წელიწადია, რაც იკრიფება ფული ასაგებად ქურმუხის წმ. გიორგის ეკკლესიისა. ფულის შესაკრები წიგნი აბარია მღ. ყულოშვილს და სულ 600 მან. მეტია შეგროვილი. ამ ფულს გარდა, 3,000 მან. ამავე კეთილ საქმისათვის შემოუწირავს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. ეკკლესიის ასაგებად ეს ორი წელიწადია, რაც განსაკუთრებული კომისიაა დანიშნული კაკის ბლაღოჩინის თავმჯდომარეობით. იმედი გვქონდა, რომ კომისია ენერგიულად შეუდგებოდა ეკკლესიის აგებას და ამ ზაფხულს ტაძრის შენობა დასრულდებოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, როგორც ყველა ქართულ საზოგადო საქმეში, აქაც კომისიის წევრთა შორის განხეთქილება და უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამო ჯერ ტაძრის

## ფელეტონი

### მოგონება*)

ვანიკოს ხსენებამ დაწვრილებით მომაგონა და გადამიშალა თვალ-წინ მთელი ჩემი წარსული სიყმაწვილე თავისის ათასნაირის თავ-გადასავალით. ნათლად წარმოვიდგა აგრეთვე დახატული და გულ-კეთილი ვანიკო; გამახსენდა იმისაგანვე თექვსმეტის წლის წინად ნათქვამი ჭკვიანური და გონიერული სიტყვები, გულის სიმწვავემ ტუჩები ამითრთოლა და თვალები სიბრალულის ცრემლით ამევსო. ჯანლივით აშლილმა ფიქრებმა საიდღაც გამიტაცეს და დიდხანს ვიყავ ისე ჩემს საუკუნოდ გაფრენილს პატარა ბიჭობის მოგონებაში გართული. ღმერთო! რა არ მომელანდა თვალ-წინ ჩემი წარსულის სიყმაწვილისა. ცხადად წარმოვიდგა სხვათა შორის ის დროც, როცა მე წითელით ავად ვიყავ და ჩემს გვერდით მჯდომარე თვალთ-ცრემლიანი დედა ნელ-ტკბილად დამზუზუნებდა ალერსით იავნანას ლექსებსა.

ამასთანავე მომაგონდა ისიც, რომ ჯერაც არა მირგია-რა ჩემის ქვეყნისათვის და რაღაც გონების საყვედურმა, გულის სინანულმა და სულის ტანჯვამ დამაუძლურა უცბად ცრემლ-მორეული და მწუხარების ძილმა მომიპარა—მომიპარა და საშინელი სანახავი მომასიზმრა:

ერთს ცამდე აყუდებულს სალაკლდიანის ლიტაო მწვერვალზე ვიყავ საცოდავად მობუზული და გულ-გახეთქილი ველოდი: აი ან ეხლა ჩავილუპები თვალ-ჩაუწვდენელს უფსკრულში და ან ეხლა-მეთქი. მაგრამ ამასაც არ დამაჯერა წყეულმა მოჩვენებამ და ელდა-ნაკრავს საზარელება უფრო გამიორკეცა: ცა და ქვეყანა ჯოჯოხეთის შავბნელმა ღრუბლებმა მოიცვა. საზარელზე საზარელი ელვა და ჭექა-ქუხილი წარღვნას უქადდა ცოდვილს დედა-მიწას. საშინლად ღმუოდნენ თავზარ დაცემულნი სულდგმულნი და ღრე-კლდეებისაკენ მირბოდნენ დასამალად. შავად ჩამობნელებულმა ცამ უფრო მედგრად მოიქუშა პირი, ამოვარდა ძლიერი ქარიშხალიანი და გულ-გამეხებული გრიგალიც და ეხლა-კი მთანი და კლდენიც დასანგრევად ემზადებოდნენ, ხენი მაღალნი ერთმანეთს ელეწებოდნენ. საზარელებით სწრწოდნენ მხეცნი, შიშით ქრებოდნენ და სიცოცხლესა მოკლე-მუხთალს ეთხოვებოდნენ. მაგრამ გრიგალმა მთლად გაფანტა შავი ბურუსი, მზე ჩვეულებრივ ღრუბლებიდამ გამოკაშკაშდა, ყველას იმედი მოუბრუნდა, ყველა დაწყნარდა. სხივნი მზისანი ტყე-მინდორ-ველს აცისკროვანებდნენ, ცაში მერცხლები ჭიკჭიკით დანავარდობდნენ და ძირს ნადირნი სიხარულით დაძუნძულობდნენ. შუილ-ქუხილით გადმოსჩქეფდა წყარო გოხნარზე და ვერცხლის ფრათ მიგოგავდა მწვანე მინდორზე, ფრინველთ გალობა და ქლიავილი ცასა სწვდებოდა და იქ მხსნელს ღმერთს დიდს მადლობას ეუბნებოდა.

მეც დამიმშვიდდა სული, ტანჯვით გამწარებული, ზეცას მივაპყარ თვალნი ცრემლით დაწყლულებულნი და ღვთის სახელს ვადიდებდი. ის იყო კიდეც უცბად გაიხნა ლაჟვარდი ცა შუა-გულში და გოლვის სისწრაფით ჩამოსრიალდა თავ-ქვე თეთრის ბამბის ქულასავით ღრუბლის გუნდი, რომელიც სწრაფად შეჩერდა ჩემს პირდაპირ მახლობლად ჰაერში; ღრუბლიდამ ანგელოზივით ჭაბუკმა ამოყო თავი და, როცა მთლად ამოიძაფა იქიდამ, მოხდენილად გაჩერდა შეკუმშულს ღრუბელზედ. მე გაოცებით შევაჰყიტე თვალები თეთრის ფრთეებით გაბრწყინებულს ჭაბუკს და მაშინვე ვიცან, რომ ის ვანიკო იყო. საჩქაროდ გავიწოდე ვანიკოსაკენ ხელები და მინდოდა დამეძახა მისი სახელი, მაგრამ ენა დამება მეტის მღელვარებით, ბევრი ვიცოდვილე და ველარ გამოვთქვი. დიდხანს ვუცქირე მოწიწებით თეთრად გასპეტაკებულს ღრუბელზე მდგომარე — ანგელოზად ქცეულს ვანიკოს, კარგა ხანს მიყურა იმანაც თავისის ცქრიალა თვალებით, შემდეგ დინჯად გამოიწოდა ჩემსკენ მარჯვენა ხელი და მითხრა ზარივით წკრიალა ხმით:

შენ აგირჩივა გამჩენმა,
შენ მოგცა ენა წყლიანი
და სიტყვა გულში ჩამწდომი,
მძლავრი და სამართლიანი;
დრო არი, ძმაო, აიღე
შენი კალამი ფხიანი,
დაჰკე და ცრემლით დაწერე
ხალხის სისაწყლე-ზიანი.
მოძმის დარდი და ვარამი
შესჩივლე ხალხსა ღვთიანსა;
გული აუნთე ცოდვითა
გულ ქვას, რეგვენს და ჩქვიანსა.
წამლად დაუდე დაჩაგრულს,
საწყალს და ნამუსიანსა,
სიტყვის შხამ-გესლი შეასვი
ულვთოს და ღალატიანსა.
ურჩივე ერსა ტანჯულსა,
სწავლას მოსჭიდოს ხელია.

*) იხ. „ივერია" № 166, 167, 168, 169, 170, 171 და 174.

საძირკველიც არ არის ჩაყრილი. თავმჯდომარეს ჰსურს ეკკლესიის აგება მიანდოს ერთ გამოცდილს ქიზიყელს, რომელსაც თავის სიცოცხლეში 25-მდე ეკკლესია აუგია. ხოლო დანარჩენ წევრებს ჰსურთ ეს მძიმე საქმე მიანდონ აქაურ თათარს, რომელსაც უსტა-მამადას ეძახიან. ეს ის უსტა-მამადაა, რომელსაც კაკის ეკკლესიის სამრეკლო ჰქონდა მინდობილი ასაშენებლად და მისი აგება უნდა დაესრულებინა ორის წლის წინად, ხოლო ჯერ დღესაც ვერ დაუსრულებია. აგვისტოს დამდეგს აქ მაზრის უფროსი ბრძანდებოდა. იგი კომისიის თავმჯდომარეს დაეკითხა: საქართველოს ეგზარხოსისაგან მოწერილობა მაქვს, რომ თვალ-ყური ვადევნო ქურმუხის ტაძრის აგებას. რა მდგომარეობაშია ეს საქმეო? თავმჯდომარემ მოახსენა ყოველივე დაწვრილებით: ჩემ დაუკითხველად ხან აქ აჩიჩქნინებენ საყდრის საძირკველს, ხან იქაო. ფულს მე არ მანდობენ და ჩემ ნება დაურთველად ჰხარჯავენ, მთავრობის წინაშე-კი მე უნდა ვაგო პასუხიო.

*** „Нов. Время.“ ამბობს, რომ მთავრობამ უკვე საბოლოოდ გადასწყვიტა ყვირილიდგან ჭიათურამდე რკინის გზის შტოს გაყვანაო. ეს შტო სულ 42 ვერსის სიგრძე იქნება და ხაზინას 400 ათასი მანათი დაუჯდება. მუშაობას მომავალს შემოდგომაზე დაიწყებენ.

*** სოფელ კასპიდგან სწერენ „Нов. Обоз.“-ს: 10 ამ თთვისას ღამით ერთი ვიღაც გლეხი რკინის გზის სადგურის მოშორებით შეხტა საქონლის მატარებლის ვაგონს, რომ უფასოდ წასულიყო. შეხტომის დროს ხურჯინი გადმოუვარდა მხრიდგან, ჩამოეწოდა ასაღებად, მაგრამ ჩამოვარდა და ზედ თვლებმა გადაუარა. საწყალი კაცი შუაზეა გაწყვეტილი. გვამი იმ ღამესვე კასპში მოიტანეს და სასირეთის მცხოვრებელი გლეხი ლეგუაშვილი აღმოჩნდა.

*** გაზ. „Каспій“-ს სიტყვით, 10 აგვისტოს ბაქოს საკომერციო ბანკში მისულა ერთი აფიცერი, რომ მომგები ბილეთი დაეგირავებინა, მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი სიხარული, ბანკში უთქვამთ, რომ მაგ თქვენს ბილეთს მარტში 25 ათასი მანათი მოუგება ერგოვო.

*** 13 ამ თთვის პოლიციის მეექვსე ნაწილში შეიპყრეს ტფილისის მცხოვრებელი მიქაელ ალაჰვერ-ოღლი, რომელმაც 12 ამ თთვისას სპარსეთის ქვეშევრდომი ანდრიასა აკოფოვი დასჭრა.

## დაბა ჭ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საჭილაო, 8 აგვისტო. საჭილავო ძველად, როგორც თვით სიტყვაც უჩვენებს, შეადგენდა ჭილაძეთა მამულს, ჭილაძეები ერთ დროს სამეგრელოს მმართველად ანუ და დიამბეგადაც ირიცხებოდენ. მაგალითად, ისტორია მოგვითხრობს, რომ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგში დადიანად იყო ბედიან გვარი, შემდეგ—გოშუა, ამას მოჰყვა ლიპარტიანი, ლიპარტიანს ჭილაძე და ბოლოს ჩიქოვანი. ამავე საუკუნეში, როგორც მოგვითხრობს ნ. დადიანის მიერ შედგენილი იმერეთის ისტორია, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის მე-7 №-ში, საჭილავო გიორგი ლიპარტიანს დაუპყრია და შაჰნავაზ მეფეს კიდეც დაუმტკიცებია ლიპარტიანისათვის ეს მამული.

ამ ქამად საჭილავოში სცხოვრობენ აზნ. კორძაიები და მოსავალიც კარგი იცის, განსაკუთრებით-კი სიმინდი მოდის ბლომად. ყურძენი იზაბელასი უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ჯიშისა, თუმცა ზოგს მწვანეს ყურძენიც აქვს, მაგრამ ეს მეტად წყლიანი მარცვლიანია და რიგიანი ღვინო არ უდგება. სიმინდის ფასის დაწევამ ძრიელ დააქვეითა აქაურები, რომელნიც თითქმის სიმინდით-ღა სცხოვრობენ. აქაურებს კიდევ არაფერი უშავთ, ცოტა რომ ზომიერი სმაჭამა იცოდნენ და უთავ-ბოლო ხარჯით ოჯახობას არ არღვევდნენ. საჭილოელები ფერისცვალობასაც დღესასწაულობენ. ამ დღეს უკანასკნელს ღარიბ-ღატაკს გლეხსაც ვერ იპოვით, რომ ზუთხის ხორცი არა ჰქონდეს სამასპინძლოდ. ამ დროს აქ ზუთხი ძალიან ძვირად იყიდება—15-20 მანეთამდის ფუთი; ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, თითო ოჯახს ექვსის თუმნის ზუთხი და ღვინო არა ჰყოფნის და რახაკვირველია, ამ დღეს, ამისთანა ქესატობის დროს, უვალოდ ვერც თავადი, ვერც აზნაური და ვერც გლეხი ვერ გადარჩება ხოლმე.

ამას წინად აქ შეიპყრეს ყაჩაღად გავარდნილი კორძაია, რომელსაც ჰბრალდებოდა ქალ-ვაჟის რევოლვერით დაჭრა, პოლიციის წინაღმდეგობა და კიდევ სხვა საქმეებიც. კორძაია სამჯერ გაექცა ბოქაულს და მაზრის უფროსის თანაშემწეს ლაზარენკოს. ბოლოს გაიგეს, რომ თავის ოჯახში იმყოფებაო, უცბად დაესხნენ მძინარესა და იარაღ-ახდილს თავს, გათოკეს და დააპატიმრეს. კორძაიას წინაღმდეგობა არ გაუწევია დაჭერის დროს პოლიციისათვის.

გურიაში საზოგადოდ დიდხანს შეუძლია ყაჩაღს თავის დაფარვა, იქ იშვიათად თუ გასცემს ხოლმე ვინმე. ამ მხრით საჭილოელები გურულებს გაცილებითა სჯობიან. აქ გაჩნდება სადმე ყაჩაღი თუ არა, მაშინვე პოლიციას აცნობებენ. ფერისცვალობის წინა ღამეს ერთი ავაზაკი მოკლეს საჭილავოში. აქ გადმოხვეწილი იყო გურიიდგან აკეთის სამამასახლისოს მცხოვრები ყაჩაღად გავარდნილი წულაძე, რომელიც ავაზაკობისათვის ციმბირში ყოფილა გაგზავნილი, მაგრამ გამოპარულა და აქ ყაჩაღთა ბრბოს შეერთებია. წულაძის საჭილავოში შემოსვლა პოლიციას აცნობეს, მაშინვე ამოიღნენ საჭილავოში ყაზახ-რუსები მაზრის უფროსის თანაშემწე ლაზარენკო და ადგილობრივი ბოქაული, ჩასაფრდნენ ერთს ჯვარედინს გზაზედ და შუაღამისას გამოიარა თუ არა ყაჩაღმა წულაძემ, ჰკრეს თოფი და მოკლეს. ფერისცვალობის მეორე დღეს მკვდარი გურიაში წაიღეს.

ლ. ორპირელი

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში ძველად, ნიკოლოოზ I-ს დროს, დიდი ფორმალისტები იყვნენ. ერთხელ თვით ნიკოლოოზ I-მაც-კი ძალიან შეაფუცხუნა ერთი გუბერნატორი. იმპერატორს რაღაც ქაღალდი მიართვეს არხანგელსკის გუბერნატორისა. დახედა და ბრძანება გასცა, დამიძახეთ ეხლავე ამის დამწერიო. იმ სიშორეზედ მისწერეს გუბერნატორს, იმპერატორი გიბარებსო, საბრალო გულ-გახეთქილი მაშინვე გზას გამოუდგა და წარსდგა იმპერატორის წინაშე. „ეს შენი ნაწერიაო?“ ჰკითხა ნიკოლოოზ I-მა. „დიაღ, ჩემი გახლავთო“, კანკალით მოახსენა შემკრთალმა გუბერნატორმა. „ქვეშ რა აწერია, ვერ გავარჩიეო“. გვარი ვერ ამოეკითხა გუბერნატორისა. როცა გაიგო, დაარიგა: „ამას იქით გარკვევით მოაწერე ხოლმე ხელი და ეხლა-კი შეგიძლიან წაბრძანდეთო“. ამას კიდევ თავისი საბუთი აქვს, მართლაც-და ზოგს ისე დახლართვით უყვარს ხელის მოწერა, რომ ეშმაკიც-კი ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს. მაგრამ მეორე ამბავს-კი, ნიკოლოოზ I-სავე დროისას, არავითარი საბუთი არ მოეძებნება. ამ ამბავს მოგვითხრობს ბ-ნი გ. ტ. „Историческій Вѣстникъ“-ის აგვისტოს წიგნში. იმ დროს სწავლა-განათლების სამინისტროს დეპარტამენტის უფროსად ერთი ვიღაც სერბინოვიჩი ყოფილა, მეტად ცუდი ადმინისტრატორი, მაბეზღარი და დიდი პედანტი. აი რას ამბობს ამის შესახებ ბ-ნი გ. ტ.:

ერთს მშვენიერს დღეს, ოქტომბრის დამლევს, საღამოს 11 საათზედ, დეპარტამენტიდგან იფრინდა მეწვია და გადმომცა სასტიკი ბრძანება სერბინოვიჩისა, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდი დეპარტამენტშიო. მეტი რა გზა იყო, წავედი. დედას ჩემს მალიან შეეშინდა, ხომ არას წაახდინერა ისეთი, რომ ამ უდროო-დროს გიბარებენო. დეპარტამენტში მისვლისას ღამის მორიგე მოხელე შემხვდა და შემიყვანა დეპარტამენტის კაბინეთში, სადაც სერბინოვიჩი იყო. სერბინოვიჩმა ერთ საათამდე მაცდევინა კაბინეტთან და შემდეგ მამიწვია. აიღო ერთი ქაღალდი გამომიწოდა და მკითხა: „თქვენი დაწერილია?“—ჰო-მეთქი, ვუპასუხე. „შეშველია უნივერსიტეტში გქონებათ სწავლა გათავებულიო?“ და ამაზედაც დავეთანხმე. „აქაურს, პეტერბურგის უნივერსიტეტში იქნებით ნასწავლი?“ ამაზედაც რომ დავეთანხმე, სერბინოვიჩმა ღრმად ამოიოხრა და სთქვა: —„ჰე, ღმერთო, ღმერთო!“ მე გამოშტერებული ვიდექი და არა მესმოდა-რა. ბოლოს მკითხა: „გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, წერას რომ ათავებთ, რა ნიშანი უნდა დასვას?“ — „წერტილი“-მეთქი, ვუპასუხე. — „მერე თქვენ დაგისვამთო?“ და ქაღალდი მომაწოდა. შემდეგ ჩააწო მელანში კალამი, მომცა და მთხოვა, რომ თქვენვე დაუსვით წერტილიო. შემდეგ აღმოსხვრით დამითხოვა და თან დასძინა, რომ შემდეგისთვის ფრთხილად იყავითო.

**

მაგრამ, ეს რა, ეს ხომ ძველად იყო, ერთის წერტილისთვის რომ მთელს ალიაქოთს ასტეხდნენ ხოლმე. ეხლა შეიძლება კაცმა სულ არა იცოდეს-რა და მცოდნედ-კი მიაჩნდეს თავი, ქართულის ენის უცოდნელად მთელი პოემები სწეროს. მართალია, არც უწინდელი ახირება ვარგა ერთ უბრალო რამეზედ, მაგრამ ეხლანდელი უცოდნელი მცოდინარობაც ვერაფერი შვილი გადაჭარბებაა. ჩვენს დროში, საუბედუროდ, ვინც-კი ქართული ანა-ბანა იცის და ჰ-ს ჴ-საგან გარჩევა, ყველას თავისი თავი დიდ მწერლად მიაჩნია. გაზ. „მწყემსის“ მე-13 №-ში გადათარგმნილია ვიღაც ლ—საგან ნადსონის ქრისტიანი ქალი. ამ გაზეთის პროზის გამშვენიერება ხომ არა ერთხელ მოგისმენიათ, გნებავთ პოეზიითაც დასტკბეთ? ინებეთ. აი როგორა სწერს ეს პოეტი-მთარგმნელი:

გაზაფხულისა ღამის სიმშვიდე
მეფობს მძინარე დიდ მოედნებზედ
და მთვარის ანჩხლი (?) ბრწყინა და
ელვა
ჰკრთის და ციმციმებს მდინართ ზვირთებზედ.

ნუ იკითხავთ, ეს „ანჩხლი ბრწყინა და ელვა“ რა არისო!

უნაყოფო და ფუჭნი გამოდგნენ (თუ
გამოდგა?)
იმის მტანჯველთ ცდა და გულის ბრაზი;
ვერც მათმა ალთქმამ, ვერც მისმა ტანჯვამ
(მათმა თუ მისმა?)
ვერ შეურყიეს მას რ წ მ ე ნ ი ს ა ზ რ ი (??).

„ანჩხლი ბრწყინა და ელვა“ და „რწმენის აზრი“! აფერუმ, პოეტო, აფერუმ, მშვენიერებაა!.. ამ მარგალიტების ძღვენს არ გვაკმარებს ავტორი და შემდეგ ამბობს, რომ

წყაროს ანკარა წყალი

---

სწავლა მადლის უფლისა,
სწავლა კეთილის მქნელია,
სწავლა ცხოვრების ცოდნაა,
სწავლა ჭირისა მკვლელია,
სწავლა ხმალი და ხერხია,
სწავლა ბედ-კრულთა მხსნელია!
არ დაივიწყო სამოთხე
და ჯოჯოხეთი კრულია;
მიდი დაუფთხე ქვეყანას,
აუმღელვარე გულია,
და ისე აამეტყველე
მგ შენი ენა ბრძნულია,
რომ ეშმაკმაც-კი ისწავლოს
კეთილი სიყვარულია!
როდესაც გაგურის სიკვდილი
ამ სოფელს მოკლე-ხნიანსა,
მრავალნი მოგეგებებით
ცაში ჭკვა-გონებიანსა,
იქ თავზე გვირგვინს დაგადგამთ,
ყვავილებ-ვარდებიანსა
და დიდის ამბით აგაფრენთ
უფალთან სახე მზიანსა!
შენი სიკვდილის ამბავი
ქვეყანას მოეფინება,
ყველას გულს აუმღუღარებს,
თვალს ცრემლი მოედინება.
შენი სიტყვების წამკითხავს
დამეც არ დაეძინება:
ქართველ კაცს შენი ხსენება
არადროს მოუწყინება.

აქ დაასრულა სიტყვა ვანიკომ და ნელ-ნელა ამაღლდა ფრენით ზეცისაკენ. მის ფერხთ-ქვეშ თეთრად შეკუმშული ღრუბელი ბამბის ქულასავით გაიპენტა ზურმუხტის ცაში და ნიავ-ქარმა მაღალის მთებისაკენ გააქანა ისარივით. მე ამ დროს მუხლმოყრილი ვიყავ ისევ იმ სალა-კლდიან ციცაბო მთის კორწოხზე, მოწიწებით მივადევნებდი თვალს ზეცაში სანატრელად მინაფრენს ვანიკოს, ისევ ყურებში მიჩქუოდნენ იმისაგან ნათქვამი სიტყვები, იმედიანის სიხოების ჟრუანტელი ელვასავით მირბენდა მთელს სხეულში და დილის ნამით ნამტირალ ბუჩქნარივით მათრთოლებდა თვალცრემლიანს. ამ დროს რაღაც შემეხო ლოყაზე და გამომეღვიძა. „უჰ, ღმერთო ჩემო, რამ დამაძინა-მეთქი“, წარმოვსთქვი გულ-ამოსკვნით და ჩვენს ერთგულს ძაღლს გრიშკას გადავეხვიე ალერსით, რომელიც ჩემს გვერდით ესკუპა საფლავის ქვაზე და ისე ნაზად მილოკავდა მარჯვენა ლოყას, რომ თითქოს იმით უნდა ეგულისხმებინა ჩემთვის: ადე, ჩემო, კარგო, რამ ჩაგაძინა, ჩვენი ანგელოზივით მეზობელი ქალი ზეზია ეხლა ჩვენსა იქნება და გაგიჟებით ეწყურება შენი ნახვაო.

მართლაც დრო იყო ადგომისა: აღმოსავლეთის ცის ძირობიდამ საშინელის ვეშაპებივით მოგოგავდნენ მაღლა ცისაკენ შავი უზარ-მაზარი ღრუბლის ბურჯები და რაღაცას უპირებდნენ ახლად შებინდებულს დედამიწას. დიაღ, დრო იყო შინ წასვლისა, მაგრამ მე ისევ სიზმარში ნანახი ვანიკო მელანდებოდა თვალ-წინ, ისევ იმის ნათქვამს სიტყვებში ვიყავ გართული და გამძლავრებული ფიქრები წამოდგომის ნებას არ მაძლევდნენ. ბოლოს, როგორც იყო, დავძლიე ფიქრით გაშმაგებულს ოცნებას, მხნედ წამოვდექ საფლავის ქვიდამ და გავწიე სახლისაკენ შემდეგის ფიქრით ფრთებ-შესხმული:

— არა! არ მინდა არც ეშმაკების შემსყიდველი სიმდიდრე არც წყალ-წასაღები დიდი ხარისხი და არც წუთიერი მოსვენება წუთი-სოფელში. ხალხში ჩავდგები, ხალხის სულისა და გულის ავ-კარგს შევისწავლი საფუძვლიანად, ჩვენის ძველის და ახალის მდგომარეობის მახედულობით და ხალხისათვის თავს დავდებ! მეყო, მეყო ამდენს ხანს ცხრა ზღვასა და მთას იქით ყოფნა უცხო ხალხში, სადაც,

„არც სულსა სული თვისად მიაჩნის,
არც გულსა გულის პასუხი ესმის“.

სხვაც არა იყოს-რა, სული, გრძნობა და გონება დამიუძლურა დიდის ქალაქების წამხდარმა ჰაერმა და მათში მცხოვრებელი ხალხის გველობამ. ო, ჩემო უძვირფასესო სამშობლო! ამას იქით შენს ია-ვარდებით ნაქარგს გულ-მკერდზედ მოვისვენებ დაღალული და შენთან დავიტკბობ ჩემის მრავალ-ტანჯულის სიცოცხლის დანარჩომს წამებს, მთელს ქვეყნად მილირს ჩემი საწყალი ქოხ-მახი, დიდრონის მთებით, მდინარეებით და აყვავებულის ჭალა-მინდვრებით გარემოცული! შვიდი წელიწადი შორს ქვეყანაში ვიყავ გადაკარგული, მაგრამ ჩემი სული და გული ისევ საქართველოს გალაჟვარდებულს ცაში ტრიალებდა დღე და ღამე და მარადის თავს დასცქეროდა ცრემლ-მორეული თავის საყვარელს ქვეყანას, თავის მშობელ-დედას და მოძმე თვისტომებს. ო, რა ბედნიერი ვიქნები, როდესაც ჩემს საწყალ მოძმეებს გვერდით ამოვუდგები შრომაში, როდესაც ძირიან-ფესვიანად შევისწავლი იმათის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგს, ჭკუა ხასიათის ზნე-ჩვეულებას და გავიგებ: რა უჭირს და რად უჭირს ხალხს, რა ატირებს და რად ატირებს, რა ახარებს და რად ახარებს, რა სძაგს და რადა სძაგს და რა უყვარს და რად უყვარს, დიაღ, ხალხში ჩავდგები, გავხდები მისის პირის გამომსახველი, მოძმეებს თავს შევწირავ, სხვაც მე მომბაძავს მნახველი. მოვკვდები მომიგონებენ იცოცხლებს ჩემი სახელი!..

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ჩქეფვებთ ელვარე გარემო შხეფავს (?)...

...და კარი უცბად
ქრიჭინით გაიღო ყანგ-ყვრიმლებზედა (!).

თქვენი არ ვიცით, მკითხველო, და ჩვენ-კი ვერა გავიგეთ რა ამ ღრმა პოეზიისა. მისისავე სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ ნისლითა და ბურუსით სავსე ლექსში „პოეზიის მდვრივე წყარო ჩქეფვებთ ელვარე გარემოს შხეფავს“.

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს, მომავალს წელიწადში 500 გლეხი და ყაზახი გადაასახლოს სამხრეთ უსურიის მხარეში. გადასასახლებელი ხალხი ჩერნიგოვის გუბერნიაში უნდა მოიკრიბოს იმათგან, ვინც თავის ნებით მოისურვებს გადასახლებას.

— რუსეთის იმპერიის ყველა საბალოსნო სასწავლებელს ამ წელიწადში საენტომოლოგიო კოლლექციები უნდა დაურიგდეს. ამ კოლლექციებში მოქცეული იქნება ის მავნე მწერები, რომელიც მხოლოდ რუსეთში იცის და ხეხილსა და ბოსტნეულობას აზარალებს.

— ყველას მოეხსენება, რომ საბანკო კანტორები რუსეთის იმპერიაში ბევრს ბოროტ-მოქმედებასა სჩადიან და ხალხს აწუხებენ. ამ საგანმა უკვე მართებლობის ყურადღება მიიქცია და ახალის კანონის გამოცემაც გამოიწვია მათდა ასალაგმავად. ამავე საგნისათვის ეხლა ყურადღება მიუქცევია რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მფარველს საზოგადოებას. შემოდგომაზე, დაიწყება თუ არა ამ საზოგადოების კრებები, ამ საგანსაც დაწვრილებით განიხილავენ და თავის აზრს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ დასამტკიცებლად.

— ძლიერ დიდი ხანია, რაც უწ. სინოდსა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შორის მიწერ-მოწერა არის გამართული იმის გამო, რომ სასულიერო სემინარიებში შემოიღონ სამეურნეო საგნების სწავლება. ეხლა ეს მიწერ-მოწერა დაუსრულებიათ და გადაუწყვეტიათ ყოველს სასულიერო სემინარიაში 1892 წლიდგან დააწყებინონ მეურნეობის სწავლება. ხარჯს ამისათვის თვით სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო კისრულობს იმ აზრით, რომ ამ ცვლილების შემოღებით სოფლის მეურნეობა გაძლიერდება, აყვავდება და სახელმწიფოს მეტი შემოსავალი ექნებაო.

— ვარშავას ფარმაცევტთა (წამლის შემკეთებულთა) საზოგადოება აპირობს, სთხოვოს მთავრობას, რომ აკრძალოს ზოგიერთის მომზადებულის წამლის შემოტანა საზღვარ-გარეთიდგან. ასეთის თხოვნის საბუთად საზოგადოება იმას ასახელებს, რომ ამ წამლების კეთება და მომზადება ეხლა რუსეთშიაც კარგად იციან და ტყუილად მიდის ფული სხვა სახელმწიფოებშიო. თუ ჩვენი თხოვნა შეიწყნარა მთავრობამ, მაშინ რუსეთში უფრო გაძლიერდება წამლების კეთებისა და მზადების ხელობაო. დასასრულ საზოგადოება საფრანგეთს ასახელებს და ამბობს, რომ დიდი ხანია, რაც საფრანგეთში სხვა სახელმწიფოებიდგან წამლების შეტანა აკრძალულიაო.

— ოდესის პოლიციას ამ დღეებში შეუპყრია ერთი მათხოვარა კაცი, რომელსაც 12 ათასი მანათი აღმოსჩენია. ეს კაცი კოჭლია თურმე, ყავარჯენით დადის და აგერ 15 წელიწადზე მეტია, რაც მათხოვრობს. ხნით ეს კაცი დიდი არა ყოფილა, ჯერ ისევ ჭარმაგად არისო.

— მდინარე დონეცის მახლობლად ვერცხლის მადანი აღმოჩენილა. გაზ. „Юж. Кр.“ ამ საგანზე შეჰკითხებია ერთს სამთო ინჟინერს და შემდეგი პასუხი მიუღია: დიდი ხანია, რაც ეგ მადანი ნაპოვნია, მაგრამ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მაგის წარმოების დაწყება ხელს არ მოგვცემს, და ამიტომ თავი დაანება მთავრობამაო. ამ ჟამად, რადგან ზოგ ადგილას კარგი ზოლები უპოვნიათ, ინჟინერი ზოსიმოვი გაგზავნილია და ამ მადანს ხელ მეორედ იკვლევს.

## უცხოეთი

ინგლისი. ამ ბოლოს დროს ინგლისის ჟურნალ-გაზეთობაში ყურადღება მიპყრობილი აქვს იმ საგანს, თუ რამდენად სასარგებლოა ლექციები და აწინდელი წესი სწავლისა და ცოდნის გადაცემისა უმაღლესს სასწავლებლებშიო. ამ საგნის შესახებ „New Review“-ში დაიბეჭდა წერილი პროფესორის ჰენრი სიჯვიკისა, რომელიც ლექციების წინააღმდეგად ითვლება. ამ პროფესორის აზრით, ცოდნის ლექციებით გავრცელების ჩვეულება ძველი რჯული და წესია, იმ დროისა, როცა ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო წიგნების ბეჭდვა, ხელ-ნაწერები ძნელად საშოვნელი იყო და პირად გადასცემდნენ ერთმანეთს ცოდნას, რადგან სხვა სახსარი სწავლის გავრცელებისა არა ჰქონდათ-რა. ამასობაში ეხლა, წიგნის ბლომად გავრცელების წყალობით, ნაბეჭდი წიგნი იმდენად ადვილი შესაძენი შეიქმნა, რომ ლექციების მოსმენაზედ გაცილებით იაფადა ჯდება ნაბეჭდის შემწეობით რომლისამე ტრაქტატის შესწავლა და დროც შედარებით მეტად მცირე სჭირდება. ამას გარდა წიგნის მკითხველს ლექციების მსმენელის წინაშე კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ საცა უნდა, იქ შეუძლიან შედგეს, ჩაუფიქრდეს ნაწერს, კვლავ დაუბრუნდეს რომელსამე წაკითხულს ალაგს, შეადაროს ერთმანეთს ორი სხვა-და-სხვა აზრი და უფრო უკეთ შეიგნოს და შეისწავლოს საგანიო. ლექციები მხოლოდ იმ მეცნიერებისათვის-ღა უნდა იქმნას დატოვებული, რომელთა შესაგნებლადაც, როგორც, მაგალითებრ, ფილოსოფიისა, ანუ ბუნების-მეტყველებისა, ხშირი ახსნა, განმარტებაა საჭირო და გამოცდილის სპეციალისტის ხელმძღვანელობა სჭირდება. საზოგადოდ-კი, წერილის ავტორის აზრით, მასწავლებელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ მოწაფეს რაც შეიძლება საუკეთესო იარაღი მოუპოვოს თვით-განვითარებისა და ცოდნის შესაძენად. იმავე ჟურნალის აგვისტოს წიგნში დაბეჭდილია წერილი ამ საგნის შესახებვე მეორე პროფესორის, მაქს მიულერისა, რომელიც ლექციების დაცვასა ცდილობს. მართალია, კარგი წიგნი შეიძლება უფრო ძვირფასსა და საფუძვლიანს ცნობებს შეიცავდეს რომელისამე საგნისას, ვიდრე ლექციები, მაგრამ საქმე იმაშია, საკმაო-კია მარტო წიგნი საგნის შესაგნებლად. განა შესაძლებელია, რომ ადამიანი რაფაელის სურათების ნახვით მხატვარი შექმნეს და ან ბეთხოვენის სიმფონიების მოსმენით მემუსიკე გახდეს? ან განა ფილოსოფოსი იქნება, ვინც-კი კანტის თხზულებებს წაიკითხავსო. აშკარაა, ყმაწვილს კაცს ისეთივე ხელ-მძღვანელობა არ უნდა, როგორიც ბავშვსა სჭირდება, მაგრამ იმისთვისაც საჭიროა მოხმარება, რჩევა, თანაგრძნობა, გზის ჩვენება. ყოველ ასეთს შემწეობას-კი წიგნი ვერ აღმოუჩენს, თუ არა კაცი. ამბობენ, რომ წიგნის კითხვის დროს შესაძლებელია მკითხველი იქ შესდგეს, საცა საჭიროდ დაინახავს, ჩაუფიქრდეს გამოურკვეველს ადგილს, ვიდრე განიმარტავსო, ხოლო პროფესორი-კი ლექციების კითხვის დროს არსად სდგებაო. ჭეშმარიტებაა, ძნელია პროფესორის შეჩერება და იმის თქმა, რომ „მოითმინეთ, მოითმინეთ, ეგ სიტყვები კარგად ვერ გავიგეო“, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ რიგიანი პროფესორი თითონვე შედგება და განიმეორებს ნათქვამს; ერთი თვალის გადავლება ჰკმარა, რომ მიხვდეს, ჩემი ნათქვამი მსმენელებმა ვერ გაიგეს კარგადაო. ჭეშმარიტი პროფესორი მხოლოდ ცოდნის გადაცემას-კი არა ჰკმარობს, იგი იმასაც ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიხმაროს ადამიანმა სხვა-და-სხვა გვარი მოვლენა, როგორ გაანაწილოს და შეიგნოს, შეისისხლხორცოს. ვიდრე შეიძენდეს მოწაფე რომელსამე ცოდნას, საჭიროა განემარტოს იმ ცოდნის სარგებლობა, და ამას ხომ მარტო ცოცხალი ადამიანი შეიძლებს და არა უსულო წიგნი.

ავსტრი-ვენგრია. ვენის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების ნახვის შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი და ფრანც-იოსებიც ჰნახავენ ერთმანეთს სექტემბრის დამდეგს პრუსიის სილეზიას, რონშტოკის ციხე-სიმაგრეშიო. იქავე მივა ამ დროს საქსონიის მეფე ალბერტი: ამ სამთა მეფეთა ერთად შეყრას კერძო ხასიათი ექნება. იმპერიის კანცლერი კაპრივი და ავსტრი-ვენგრიის მინისტრი გრაფ-კალნოკი ერთად იქნებიან რონშტოკს ახლო მყოფ ჰაუზდორფის ციხეში. კანცლერს გარდა ვილჰელმს თან ახლდება აგრეთვე გრაფი ვალდერზეე, ორი გენერალ-ადიუტანტი და ობერგოფმარშალი.

პორტუგალია. პორტუგალიის საპოლიტიკო წრეებში დიდი ლაპარაკია ამ ჟამად ატეხილი იმის გამო, რომ ომი გამოუცხადა ინგლისელებს პორტუგალიის ფლოტის სამსახურს გარეშე მყოფმა ლეიტანანტმა კონტინიომ. აი ამის შესახებ რას იწერებიან ლისაბონიდგან: „როგორც ეტყობა, ლეიტენანტს არეედო კონტინიოს განზრახვა აქვს პორტუგალიის საერო გმირი შეიქმნეს. ხალხს იმედი აქვს, რომ იგი ინგლისელებს გადაუხდის 11 იანვრის ულტიმატუმის მაგიერსაო. ეს აფიცერი ზღვის ჯარის-კაცების მცირე რაზმით მდ. შორეს ახლო სიმაგრეში იყო დაბანაკებული. ინგლისის ულტიმატუმის წყალობით, პორტუგალიის ზღვათა მინისტრმა ბრძანება გასცა კონტინიოს, რომ მაგ სიმაგრეს თავი დაანებეო. კონტინიო სამსახურიდგან გადადგა და გამოაცხადა, რომ როგორც კერძო ადამიანი, ისე დავუწყებ წინააღმდეგობას ინგლისს და ამ ადგილს არ დავაჭერინებო. პორტუგალიის მთავრობამ თითონვე აღიარა, რომ შირეს მიწა-წყალი ჩემი საკუთრება არ არისო, და ამიტომ ვერავის დაუშლის იქ ყოფნასაო. თუმცა ბევრს დაემუქრა მინისტრი, კონტინიომ ამ ადგილის მეფობა გამოაცხადა. თავის ჯარიდგან მოიშორა ყველა ისინი, ვისაც პორჩილება არ უნდოდა, და დანარჩენ 36 ევროპიელ ჯარის-კაცისა და 800 იქაურ მცხოვრების შემწეობით ჯარი მოიმზადა. შემდეგ ინგლისს ბრძოლა გამოუცხადა და აშკარა მტრობა დაუწყო. ამ ბოლოს დროს ლისაბონიდგან თოფიარაღი მიაშველეს და რამდენიმე კაციც მიემხრო, ასე რომ ეხლა იმის ჯარში 700-მდე ევროპიელი ითვლება. ივლისის დამლევს კონტინიომ დაიჭირა ინგლისის ხომალდი „ჯონ სტეფენსონი“. ინგლისის ელჩმა ლისაბონისამ დაუყოვნებლივ მოსთხოვა პორტუგალიის მთავრობას ასეთის საქციელის პასუხი და დაჰპირდნენ, რომ ინგლისელებს განვათავისუფლებთ, ჩვენს მიწა-წყალზედ გადმოვლენ თუ არაო. ამას გარდა პორტუგალიის მთავრობამ კონტინიო სამხედრო სამართალში მისცა და შეუთვალა, რომ კვილიმანეში გამოცხადდიო. ლეიტენატმა უარი შეუთვალა. ორივე პალატაში მოწინააღმდეგენი დიდად ემხრობიან კონტინიოს, დიდად აქებენ იმის სიმამაცეს და უკვე გამოუცხადეს მთავრობას, რომ არაფერი უფლება არა გაქვს ამ ბრძოლაში ინგლისს მიემხროვო. მთავრობამ კვლავ გაჰკიცხა ლეიტენანტის საქციელი, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, პორტუგალიის დიდ-ძალმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით სტუდენტობამ გადასწყვიტა, რომ ყოველივე დახმარება აღმოვუჩინოთ სამხრეთს აფრიკაში ჩვენს გამბედავსა და მამაც თანამემამულეს, რომელიც ინგლისს ებრძვის და ეომებაო“.

## წვრილი ამბები

ამას წინად მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში კრემლის სიკვდილით დასჯის ამბავი. კრემლი ელექტრონის ძალის შემწეობით მოჰკლეს და იმისი ტანჯვა სიკვდილის ჟამს მეტის-მეტ შემაძრწუნებელ ამბად იყო მოთხრობილი ამერიკის გაზეთებში. ამ ჟამად კიდევ ქემსს კაცსა აქვს გადაწყვეტილი სიკვდილი ელექტრონის ძალის შემწეობით და ისეთი თავსზარ-დაცემულები არიან თურმე ეს საწყლები, რომ მთავრობას ეხვეწებიან: ელექტრონის ძალას ნუ იხმარებთ, სხვა ნაირად როგორმე მოგვისპეთ სიცოცხლეო. ორი მათგანი თითქმის შეშლილებივით არიან, ხოლო მესამე იაპონიელი თხოულობს თურმე, თავი მომჭერით და ელექტრონის ძალას ნუ-კი დამატანჯვინებთო.

— ახირებული ქვეყანაა ამერიკა და ახირებული ამბებიც არ გამოელევა. ამას წინად პავერსბურგში 80 წლის მოხუცი ქალი მისთხოვდა ერთს 85 წლის კაცს. საქორწილო მეჯლისში მათი შვილები და შვილიშვილები ბლომად ერივნენ. პატარძალმა პატარძალმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში, ჩემი ქმარი უდიერად მეპყრობა და გამაქორწინეთო. ქმარსაც თავის მხრით უჩივლია ცოლისთვის სწორედ იმაზედვე, რაზედაც ცოლი უჩიოდა. სასამართლომ საცილოდ არ ეყო თურმე ეს ამბავი და ურჩია ახლად დაქორწილებულებს, როგორმე მორიგდით და საჩივრებს თავი დაანებეთო.

— ავსტრალიაში იმდენი კურდღელია თურმე, რომ კაციაზე უარესს ამბავსა სჩადიან. ნახნავ-ნათესსა და ბაღახს ისე რიგად ჭამენ, რომ ნატამალს აღარ უშვებენ. ამ სენის მოსასპობლად ეხლა ქვინსლენდში 1,300 ვერსზედ ღობე გაუვლიათ, ეგებ როგორმე შევიკავოთ ეს მოსავლის მტერიო.

— გერმანელი სოციალისტები ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობენ, რომ თავიანთი აზრი მოჰფინონ და გაავრცელონ ხალხში. თეატრიც-კი თავის სამოქმედო სარბიელად გაჰხადეს. ბერლინში ამ ჟამად ამხანაგობა შეუდგენიათ, რომელსაც ეწოდება „სოციალ-დემოკრატიო თეატრი“. ამ საზოგადოებას აზრად აქვს, რომ რაც შეიძლება მეტი დრამატიული თხზულება გაავრცელოს ხალხში წარმოდგენების შემწეობით. მეთაური ამ საქმისა არის მკურნალი ვილლე, მდივნად ამოურჩევიათ გაზეთის რედაქტორი ბააკე. წევრად სხვა-და-სხვა წარჩინებული და გამოჩენილი კაცი ითვლება. მათ შორის არიან მკურნალი ბრამი და ქალი გრებერი. ამ საზოგადოების თეატრის სცენაზე ყველა მწერლის ნაწარმოები იქნება წარმოდგენილი, თუ-კი იმისი შინაარსი აღმნიშვნელია თავისუფლებისა, სიმართლისა და საზოგადოების ინტერესებისა; არავის ყურადღებას არ მიაქცევს იმასა, ავტორი გერმანელია, თუ უცხოელიო.

— პარიზიდგან ნიუ-იორკში მისულა ერნესტო გრამონი, რომელსაც რამდენიმე მილიონი შეძლება აქვს თურმე. მეტის-მეტი ახირებული ყოფილა ეს შეძლებული კაცი. მოუნდომებია, იმ გვარად უნდა ვიცხოვრო, როგორც საშუალო საუკუნოების მებატონეები სცხოვრებდნენო. ამიტომ ვეებერთელა ადგილს ყიდულობს თურმე, რომ ციხე-გალავნიანი სასახლე ააშენოსო. ამას გარდა რამონდი აპირობს, იყოლიოს რაინდები და ისეთივე ხელქვეით-მოსამსახურეები, როგორიც საშუალო საუკუნეების მებატონეებსა ჰყავდათო. რამონდის მოურავს ამ დღეებში თურმე მიელიან და ბევრი კაცი უცდის, რომ ან რაინდად ჩაეწეროს და ან სხვა რამე თანამდებობა იკისროს, რადგანაც იციან, რომ ჯამაგირები კარგი ექნებაო.

## დეპეშა

13 აგვისტო.

პეტერბურგი. დღეს ვარშავის რკინის გზით წაბრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი თავისის ამალითურთ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. თევზის ვაჭრობა განცხოველდა; თავს იყრიან ნარდად მყიდველები; ვაჭრობა უკვე დაიწყო, მხოლოდ წყლის სიპატარავე უშლის ხელს; ქარავანმა დაიგვიანა.

ლონდონი. პატრიარქმა აშიკიანმა განაცხადა, რომ თანახმა ვარ კიდევ ვამს თვეს ვმართო საპატრიარქო, თუ ოსმალეთი პირობას მომცემს, რომ ამ ხნის განავლობაში ყოველსავე ჩემს საჩივარს წვრილად განიხილავსო. პატრიარქს ტყვკვრე მოუვიდა მთავრობისაგან, რომ დარჩი მაგ თანამდებობაშიო, ხოლო პირობას-კი არაფერს აძლევს ოსმალეთი. ამო-

კიანმა გადაჭრითა სთქვა, რომ იძულებული ვარ თავი დავანებო სამსახურსაო.

სულთანმა ნება დართო იერუსალიმის საბერძნეთის პატრიარქს სამსახურიდგან გასვლისა.

**ლონდონი.** სულთანმა ბრძანება გასცა, რომ ქურთთა ავაზაკების წინამძღოლი მუსსა-ბეი სომხეთში გაჰგზავნეთო.

**პეტერბურგის ბირჟა, 10 აგვისტო.**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6, 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 132½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 228 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 216¼ |
| —მესამისა . . . . | 211¼ | — „ | 213¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | 100½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 100¼ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

1 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნეგ იან წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში მიღებულნი ჯან-მთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარიშვილს (მომრიგებელი მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს ს. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) სამღრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ: სწავლას, და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შაგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერჯერობით თთვეში შვიდი მანათი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარი წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანეთი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შაგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლასი შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად). ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ. смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельскохозяйственной школы кн. Ер. К. Накашидзе.

---

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—15)

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,**

შედგენილი

**მოსე ჯანაშვილის-მიერ.**

ფასი წიგნისა 40 კაპ.

---

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“**-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით **ათი** წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ **თ[illegible]რთმეტი** წიგნი ღირს

**2** მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

**ყმაწვილი კაცი ეძებს გაკვეთილებს**

და

**ზომიერ ფასად**

შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—1)

---

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საადგილმამულო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმისთვის:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმისთვის“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—33)

---



სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

**ფოლადის გუთნები**

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვილის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—49)

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ფოთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. ценз Тифлисъ, 13-го Августа 1890 г. Типо-Литографія Е. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე